№ 159, ივლისის 26, პარასკევი. 1866—1885 ივლისის 26, პარასკევი. № 159.

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში: გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. „Дроэва“

ფასი წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50კ. 10 თვით—8 მ., 9 თვ.—7 მ., 50კ. 8 თვ.—7 მ., 7 თვ.—6 მ. 6 თვ.—5 მ.. 5 თვ.—4 მ. 50 კ., 4 თვ.—4 მ., 3 თვ.—3 მ., 2 თვ.—2 მ., 1 თვ.—1 მ.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპეიკი.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ოთხშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე 8 კ., პირველზე 16 კ. სრული უკანასკნელი გვერდი 25 მანათი; პირველი 50 მ. რიცხვი სტრიქონებისა ითვლება მათგან დაჭერილის ადგილის კვალობაზედ.

თუ ხაჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილებს რედაქცია კერ დაუბრუნებს ავტორს.

Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и заграницы принимаются только въ цент. конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

„დროების“ ფასი აგვისტოს პირველიდამ წლის დამლევამდე 4 მან. და 50 კაპ.; სოფლის მასწავლებელთათვის 3 მან. და 50 კაპ.

თუ „შრომა“ არა, „შრომის“ სამაგიერო მაინც

თბილისი, ივლისის 26-ს.

იმერეთი თან-და-თან იზრდება. ამ ოთხი ხუთი წლის განმავლობაში მან ძლიერ შორს გაშალა ფრთა. სტატისტიკურ ცნობებს რომ თავი დავანებოთ,—ისედაც ცხადია, რომ ყოველ-გვარ დაწესებულებათ — სკოლებმა, სამსაჯულოებმა, ადმინისტრატიულ დაწესებულებითა ამ მოკლე დროში შესამჩნევად იბარტყეს. ამათი მოქმედება, მათი ნაყოფიერი გაელენა ხალხზე, ხალხის შეხედულება და სიმპატია, ანუ ანტიპატია ზემოხსენებულ დაწესებულებათადმი—ყველა ესე და სხვანი მრავალნი უნდა იყვნენ ბეჭდვითი სიტყვით დღიური საგანი, რომლის რაციონალურად გამოკვლევა და განსჯა დიდს სარგებლობას მოუტანდა, როგორც საზოგადოებას, აგრეთვე მისს მზრუნველებს. ეს ერთი ორად შეღავათს მისცემდა ყოველს მმართებლობის ასპარეზზე მოღვაწე პირთ და კერძოდ ხალხისადმი თანაგრძნობელთ. ამას დავსძინოთ ის გარემოება, რომ საქართველოს არც ერთს კუთხეში ისე გავრცელებული არ არის ბეჭდვითი სიტყვის ყურის მიპყრობა და პატივისცემა, როგორც იმერეთში. ჩვენი გაზეთის ნომრები ორი წილი კორტოხს გადაღმა გადადის და უმეტესად კორესპონდენციები სხვა-და-სხვა საჭირო დღიურს ვარამზე იქიდამ მოგვდის და იბეჭდება; მაგრამ ნახევრობითაც არ შეუძლია აქაურმა გაზეთმა დააკმაყოფილოს ის საჭიროება, რაც ადგილობრიივს გაზეთს მოეხერხება. ამას კიდევ მიეუმატოთ ის ფაქტიც, რომ იმერეთის ქართველი ინტელიგენცია რიცხვით და გონებით იმ მდგომარეობაშია, იმოდენად მზად არის, რომ ყოველი საჭირო საქმის სფერაში შეუძლია სინიდისიანად, გულდამჯდარად და მეცნიერულად მუშაობა, რაც მეტის მეტად ნაყოფიერი იქმნება ჩვენი საზოგადოებისათვის. ეს და მრავალი სხვა გარემოება, რომელთა აქ ჩამოთვლას საჭიროდ არ ვრაცხთ, რადგანაც ყველასათვის ცხადია ჩვენი აზრი და იმ საგნის საჭიროება, რომელზედაც ჩვენ ვლაპარაკობთ—გვაიძულებს გამოვსთქვათ ქუთაისში გაზეთის დაარსების სურვილი. რაღა კითხვა უნდა, რომ ჩვენზე ნაკლებ არ არის მოწადინებული ადგილობრივი ინტელიგენცია, რომ მას ჰქონდეს თავისი საჭიროების გამომთქმელი ორგანო, როგორიც იყო ორი წლის წინედ გაზეთი «შრომა» და რომელმაც ყველასათვის ცხადად დასანახავი სარგებლობა მოუტანა ადგილობრივს ყოველს წრეში მოღვაწე პირთა და დაწესებულებათ.

ამ გაზეთს დღეს ბევრი «ნაშრომი» ექმნებოდა, რომ დღე გაგრძელებოდა, მაგრამ მას ისეთი მიზეზი გადაელობა წინ, რომელმაც შეუძლებელ ჰყო მისი ნაყოფიერი მოღვაწეობის განგრძობა. ახლა ჩვენ ის გვინდა ვსთქვათ, რომ, ეგება ახლა უფრო ადვილად მოსასპობელი იყოს ის მიზეზი, რომლის თავიდამ აცილება მაშინ არ შეიძლებოდა, და ძლიერ კარგს იქმს ქუთაისის ინტელიგენცია, არ მიაყრუებდეს ქუთაისში ბეჭდვითი ორგანის დაარსების საქმეს. ეს საქმე, ვიმეორებთ, მეტის მეტი სასარგებლო იქმნებოდა არა მარტო საზოგადოებისათვის, არამედ თვით მმართებლობისათვისაც, რომელიც უთუოდ ხელს შეუწყობს ინტელიგენციის მისწრაფებას და დაუნიშნავს მას ქ. ქუთაისში ცენზორს იმ გვარად, როგორც სასულიერო მთავრობამ დაუნიშნა გაზეთს «ეწყემსს».

ს. ყ—ნი.

შინაური ქრონიკა

ᲝᲝᲝ ᲥᲝᲯᲠᲘᲓᲐᲛ გვწერენ, რომ იქ გვალვის გამო წყალი ძალიან შემცირებულა და წყლის ამსების დროს ბევრი უსიამოვნება ხდებოდაო. ამისათვის პოლიციამ მაიღო თავის თავზედ წყლის განაწილება და დღეში თითო ოჯახს თითო პატარა ბოჩკა წყალს აძლევსო.

ᲝᲝᲝ ᲩᲕᲔᲜ შევიტყეთ, რომ ერთს ნემეცს, რომელსაც თბილისის გეოგრაფიის საზოგადოების ბიბლიოთეკა ჩააბარეს წესში მოსაყვანად, წიგნები უზიდნია და უბრალო ქაღალდის ფასად უყიდნია. ეხლა პოლიცია დადის და აქა-იქა დუქნებში პოულობს წიგნებს. ნემეცი მეტეხის ციხეში დაუჭერიათ.

ᲝᲝᲝ ᲓᲣᲨᲔᲗᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲘᲡ სოფ. ბიწმენდიდამ გვწერენ, რომ იქ თურქულისგან ძალიან იხოცება საქონელიო. არც გლეხები და არც მოხელენი არავითარს საშუალებას არ ხმარობენ ამ სენის წინააღმდეგ. პირ იქით, საქონელი რომ უკვდებათ, იქვე კარს წინ ჰყრიან, რის გამოც საშინელი, ხოლერისათვის სასიამოვნო სუნი დგებაო. ეარგი იქნება, რომ დუშეთის მაზრის უფროსმა მიაქციოს ამას ყურადღება და ვალად დაუდოს ჭირისგან დახოცილი საქონლის დამარხვა.

ᲝᲝᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ «იურიდიჩესკოე ობოზრენიეს» სწერენ ოდესიდამ, რომ გამომძიებელს უკვე გაუთავებია გამომძიება ნოტარიუსი დვალის ბოროტ-მოქმედებათა შესახებ და პროკურორისათვის წარუდგენია; თვითონ საქმე ოთხს ფუთზე მეტს იწონსო. საქმეში ჩაკერებულია მრავალი დოკუმენტები, რომელნიც ნოტარიუსს წიგნებში არ ჰქონია ჩაწერილიო. წარადგინა თუ არა გამომძიებელმა ეს საქმე, მაშინვე გამოჩნდა ახალი ბოროტ-მოქმედება დვალისა: იგი ოდის გამესახებელ-შემსახველი ამხანაგობის საზინადარი იყო და რაც ფული ეოფილა, შეეკრა და ანგარიშს არავის აძლევდა. რა კარგი იქნებაო,—უმატებს კორესპონდენტი—რომ მომრიგებელ-მოსამართლეებს მიეცდოს ნოტარიუსებს რევიზია უყონ ყოველ წლის ბოლოსაო.

ჩვენის აზრით ეს საშუალება ყოველად შეუძლებელია, რადგან მომრიგებელ მოსამართლეებს იმოდენა საქმე აქვთ, რომ დმერთმა ჭკნას თავიანთ მოსამართლეებს, ეს ამ ოთხ-ხუთ ადგილ-ადგილ ბოროტ-მოქმედებას ვერ ეტყვიან.

ვალდობა სინიდისიანად შეასრულონ, არამც თუ ნოტარიუსების რევიზიაც იკისრონ კიდეც.

«დროების» კორესპონდენციები

—

დ. ყვირილა, ივლისის 18-ს. ვისაც ამ ორი წლის წინად უნახავს ჩვენი დ. ყვირილა და ახლა ნახავს, დიდს განსხვავებას შეამჩნევს ყველაფერში, როგორც ვაჭარ ხალხის მომეტებულ რიცხვში, ისე მცხოვრებლების სიმრავლეში. იქ, სადაც ამ ორის წლის წინად ორიოდე ფრთა-მოტეხილი დუქნები გამოიჭყიტებოდენ, დღეს თითო ორ-ორ სართულიანი სახლები წამოჯგიმული. იქ, სადაც წინედ ორ სამ კაცს ვერ შეხვდებოდით, დღეს გვერდსაც ვერ აუვლით ხალხის უმრავლესობას. არც ერთ დაბაში, არც ერთ მაზრის ქალაქში და თითქმის ჩვენი გუბერნიის დედა—ქალაქებშიაც ვერ შეამჩნევთ ეხლა იმ გვარ მოძრაობას, მუყაითად საქმის ხელის მოკიდებას როგორც ჩვენს ყვირილაში. ჩვენი ქალაქების სასეირნო ბაღები, სალაყბო ადგილები და თითქმის სავაჭრო სახლებიც სამსენი არიან ესრედ წოდებულ «ტყუილა-მყოფელებით», რომელნიც უსაქმობის გამო ჩაწერილან «ბულვარის კომიტეტის» მწევრად და სადავო საგნად ჩვენი ამ გზობისად საზოგადო სენი-უფულობა შეჰქმნიათ. აქ-კი თითქმის ყველას თავის საქმეზე მზრუნველს ჰხედავთ. რა ნაციის კაცი გინდათ, რომ ჩვენს დაბაში არ ნახოთ: ნემეცი, ბერძენი, სომეხი, ურია, ინგლისელი ფრანცუზი და სხვანი. ერთი სიტყვით ყოველ ნაციის წარმომადგენელს შეხვდებით დღეს აქ. ნეტა რამ მოიყვანა ეს უცხო-ქვეყნელები ამ ჩვენი სამშობლოს მივარდნილ კუნჭულში,—შეიძლება მკითხოს პატივცემულმა მკითხველმა.— იმ «შავმა ქვამ», რომლის ხსენებაც წინად წყევლათ იყო მიღებული. გუშინდელი წყევლა: «ვაი შენ და შავი ქვაო»—დღეს სასიამოვნო გასაგონებლად და ლოცვად შეიქმნა. ვისაც გინდა ჰკითხო ყვირილაში: სად მიდიხარ, ან რად ყოფილხარო, ამის მეტს პასუხს მისგან ნუ ელი:—შავ ქვაში ვიყავი, შავ ქვაში მივდივარო და სხვანი. მკითხველმა კარგად იცის, რომ ეს შავი ქვა (მარგანეცი) რამოდენიმე წელიწადია რაც გამოჩნდა ზემო-იმერეთის სოფლებში: რგანში, ღვიმევში, ჭიათურაში, შუქრუთში, პერევისაში და სხვანი, სადაც დღეს დიდი ძალი მუშაობა წარმოებს. ეს სოფლები მდებარეობენ დ. ყვირილიდამ 52 ვერსის სიშორეზედ, მაგრამ გზა, რომელზედაც შავი-ქვა გადმოაქვთ, ისეთ საძაგელ სურათს წარმოადგენს, რომლის აღწერაც არ შეუძლია უბრალო კალამს. მრავალთა სხვა ნაკლულევანებათა გარდა, ისეთი ვიწროა, რომ ჩვენებური ურმები ძლივს-ძლივობით გადიან. ისეთი ადგილები არის, სადაც ორი ურემი ერთმანეთს გვერდს ვერ აუვლის. ამ გვარ გზებით ჩამოაქვსთ შავი-ქვა ზემოხსენებული სოფლებიდამ ს. ჭიათურაში და აქ კამპანიონებს საწყობი და საწონები აქვსთ გამართული და ჰგზავნიან დ. ყვირილაში ყვირილის პირას გაჭრილ გზით. აქ დღეს თითქმის 25 კამპანიამდე მუშაობს შავ-ქვის მადნებს. ვისაც-კი ორი კაპეიკი ჰქონია, ყველა ამ შავ-ქვაში მიეშურება. ეხლა ვნახოთ როგორ კეთილ სინიდისიანად ვაჭრობენ ეს ჩვენი «ვითომ და კამპანიები». ზოგიერთების გარდა (როსელნიც იძულებულნი იქნებიან ვაჭრობას თავი დაანებონ, თუ ასე წავიდა შავი-ქვის მუშაობა) ისე უსინიდისოდ და თითქმის ულმერთოდ აწვალებენ და ატყუებენ საწყალ გლეხებს, რომელნიც ამ ქვას ზიდვენ ყვირილაში, რომ კალამი ვერ ახერხებს მის აღწერას და საქვეყნოდ გამოაშკარებას. მაგალითად, გლეხს მოაქვს ოცი ანუ ოცდახუთი ფუთი შავი ქვა ორმოცდა-თორმეტი ვერსის სიშორიდამ, ფეხშიშველას ამისთანა პაპანაქება სიცხეში და აქ ყვირილაში უწონს ღვთის და კაცის მოღალატე მწონელი და ოცის მაგიერ ათ ფუთს ან თორმეტს გამოუყვანს; გლეხიც უცქერის უკმაყოფილოს თვალებით მისთვის გაუგებარ ევროპიულ სასწორს, მაგრამ რას იზამს «თავის ზევით ძალა არა აქვს», მოიფხანს საწყლად გაჩეჩილ თმას, მოაბრუნებს თავის მანუგეშებელ «ნიშას», ერთს «მშვიდობით ბრძანდებოდეთ„ საც ეტყვის და გაუდგება გზასა. წარმოიდგინეთ, გარდა ორიოდე კამპანიისა, ყველა ასე ატყუებს სასწორში გლეხებს და კაცი ყურადღების მიმქცევი-კი არავინ გამოჩნდა. თუმცა ამ ბოლოს დროს რკინის გზის გამგეობას დაუყენებია თვალ-ყურის მგდებლად ჟანდარმები «სკლადში» მაგრამ ესენიც ცოტა ყურადღებას აქცევენ გლეხების მდგომარეობას. ხშირად გამიგონია ამ კამპანიისაგან, რომ ქურდობა ჩვენთვის ერთი უსაჭიროესი საგანიაო. წარმოიდგინეთ რა მოგება უნდა დარჩეს თუ არ მოვიპარეთ სასწორშიო მაშინ, როდესაც ფუთი შავი ქვა ადგილობრივ 10 კაპეიკია, გადმოტანა 23 კაპ. და ჩვენ აქედამ ვგზავნით 33 კაპ.-თო. აქ რასაც გამოვრჩებით, ის არის ჩვენი შრომის სასყიდელი და არა სხვაო. ჩემის აზრით აქ არა არის რა გასაკვირველი, რადგანაც ვაჭრობა ჩვენში თითქმის ყველგან ასე უწესოდ და უნორმალოდ წარმოებს. არავინ არ ვაჭრობს და ალებ-მიმცემობს ისე როგორც ჩვენებური ვაჭარი. ზოგიერთები ამბობენ, რომ ვაჭრობას ყველგან ერთი და იგივე ხასიათი აქვსო, რომ ვაჭრობა ყველგან და მუდამ მომეტებულ ნაწილად მოტყუება არისო «რაც შეიძლება იაფად იშოვნე და რაც შეიძლება ძვირად გაასაღეო», ეს არის ვაჭრების სწავლა-ჭეშმარიტებაო. მაგრამ ამის თქმა ისე თამამად არ შეიძლება განათლებულ ქვეყნების ვაჭრებზედ, როგორც ჩვენებურ ვაჭრებზედ. განათლებული ქვეყნის ვაჭარი თავის დღეში არ მიმართავს იმ გვარ სახსარს, რომელსაც მოტყუილება, მოპარვა და სხვას უწოდებენ. იმას თავის ნიჭით, სწავლით, მეცნიერებით და მოხერხებით მიჰყავს თავისი საქმე და ანგარიშები. ჩვენებური ვაჭრები კი ძლიერ ძირს დგანან ჯერ-ჯერობით განათლებულ ქვეყნების ვაჭრებზედ. ყველაფერში შეიძლება ცუდმა კაცი მოატყუოს, მაგრამ სასწორში მოტყუება და არშინში ნუ თუ ულმერთობა, უსინიდისობა და კაცთ შეუბრალებლობა არ არის ვაჭარი კაცისაგან! ნუ თუ ჩვენი შავი ქვის ზოგიერთი კამპანია არ წითლდება სირცხვილით როდესაც ჰპარავს, სასწორში, ვის? გლეხს, იმ თითქმის უენო არსებას, რომლის კისერზედაც არის დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის ბედი და უბედობა. დროა ჩემის აზრით ჯეროვანი ყურადღება მიექცეს ამ საქმეს.

თ. ს—ძე.

სოფელი კასპი, ივლისის 24-ს. იყო დრო, როცა ცრუ მორწმუნოება ჩვეულებად იყო გადაქცეული და მთელი ზნეობა ამ ცრუ-მორწმუნოებაზე დამყარებული. ყველას გვახსოვს ის დრო, როცა დამთქნარების უმალვე უთუოდ პირჯვარი უნდა გადაგვეწერა, ეშმაკი პირში არ ჩაგიძვრესო, ცხვირის დაცემინების დროს, უთუოდ ღვთის წყალობა გვეთქვა, რადგანაც ცხვირის დაცემინება რაიმე კეთილის მომასწავებელი გვეგონა. ეხლა ამ ცრუ-მორწმუნეობას (ამგვარი ცრუ-მორწმუნეობის მოსპობა საზარალოა თუ სასარგებლო,—გავჩუმდეთ) ლამის ძირი გამოერღვას, მაგრამ ვინ მოსთვლის, რავდენი სხვა უგუნურება გვიხუთავს სულს და არა გვჯერა არც ეკლესიაში მქადაგებელთა სიტყვები და არც ჭკვიანი კაცის ნარჩევი.

აი, მაგალითი: სოფელს კასპსა აქვს სასაფლაო პირ-და-პირ სოფლის თავში და ერთი თავადის ამილახვრის საჯინიბო-თავლას უკან. ყოველს ხალხს თავისი სასაფლაო ერთ უუწმინდეს ადგილად მიაჩნია: მშვენიერი ღობით შემოზღუდვენ მას ხოლმე, ჯვრებს და ძეგლებს ადგმენ საფლავებს, ვარდით და ბუჩქნარათ ჰკაზმვენ თავიანთ მამა-პაპათა და ნათესავთა საუკუნო ბინას. აქ-კი სრულიად წინააღმდეგს სურათს დაინახავთ: სასა-

---

რომ გაახლდეს, თითო სოფელს ორ ვერსზე ცოტა მეტი შეხვდება; ეს არ არის სოფლისთვის გასაჭირი, და, თუ გაღმა მხარეც შეეშველება ამ რუს გაყვანაში, მაშინ სოფელზე ერთი ვერსიც ძლივსღა გაჰხვდებათ.

გაღმა-მხარის დახმარება არ იქნება უსამართლობა ამისათვის, რომ ბახტრიონიდამ დაწყებული ვიდრე ლაგოდახამდის ალაზნის მარცხენა ნაპირი მდინარის სიახლოვეს (აგრეთვე მარჯვენა ნაპირიც) ჭაობნარია; ამის თავი-და-თავი მიზეზთაგანი არის გაზაფხულზე ალაზნის ნაპირებიდამ გამოსვლა. რაკი ამ რუით ალაზანს წყალი მოაკლდება, ნაპირებზე იმდენ წყალს ველარ დააგუბებს და ისე ჭაობ-ნარი აღარ იქმნება; ჰაერს მოშორდება ის მიაზმები, რომელიც დამპალი მცენარეებიდამ უხვად ერევა; ნაპირებს მოშორდება ის სიდამპლე, რომლის გამო ქათამსაც კი ციებას აწყებინებს ხოლმე, კახელი ამ ადგილებში მუშაობას ვერ ასცდება და ვერც ამ ადგილების ციებ-ცხელებას. თუ მათ სიდამპლე აშორდებათ იმ რუის გაყვანით, მაშ რა უსამართლობა იქმნება, რომ მისს გაყვანაში გაღმაველმაც იმუშაოს.

კერძო პირი, ან ამხანაგობა თუ გაიყვანს რუსა, მაშინ უფრო ძვირად დაუსვამენ მცხოვრებლებს. უმოგებოთ ხომ არავინ მოჰკიდებს ამისთანა საქმეს ხელსა და ვინ იცის რა მოგებას დასჯერდებიან; ამისთანა საქმეში ბევრჯელ მანეთზე ათი მანეთიც აუღიათ. ბევრით ემჯობინება, რომ თვით მცხოვრებელთ გაიყვანონ. თქმა არ უნდა, თვით მცხოვრებელნი საქმეს ხელს არ მოჰკიდებენ, თუ არავინ იქმნა მეთაური. კერძო კაცის მეთაურობა ყოვლად მოუხერხებელია ამ საქმეში; აქ საჭიროა ადმინისტრაციამ მიიღოს მეთაურობა საქმის დაწყებაში და შესრულებაში, მაგრამ ადმინისტრაციასაც მარტო შეიძლება გაუჭირდეს იგი. აქ ბარემ გავიხსენოთ, რომ ამ ოთხი წლის წინად გუბერნიის ადმინისტრაცია მაზრის უფროსებისაგან და მომრიგებელ შუამავლებისაგან ცნობებსა ჰკრეფდა ამ საქმის შესახებ

ახლა აი საქმის გარემოება რა გვარია:

ბახტრიონიდამ დაწყებული ანაგამდის, ხსენებულმა რუმ თითქმის ოთხმოცი ვერსის სიგძეზე, სათავად-აზნაურო მამულებში უნდა გაიაროს. თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა ახალმა წინამძღოლმა თ. ივანე ბაგრატიონ-მუხრან-ბატონმა უნდა დააწყებინოს ამ საქმეს მოძრაობა, სთხოვოს ადმინისტრაციას, გამოგზავნონ მცოდნე პირნი გეგმის (პლანის) შესადგენად; თელავის და სიღნაღის მაზრის თავად-აზნაურთა კრებათაგან ცნობები მოკრიბოს; მისცეს ამავე მაზრების თავად-აზნაურთა წინადადება, რომ მათ მიიღონ გლეხებთან ერთად ნივთიერი მონაწილეობა; გეგმის კვალად შეადგინოს წესდება გაყვანილი წყლით სარგებლობის შესახებ, შეადგენინოს პროექტი რუს სივრცეზე, ნაწილ-ნაწილად დაყოფაზე, მუშაობაზე და წყლით სარგებლობაზე, წარუდგინოს იგი ადმინისტრაციას და სთხოვოს, რომ პროექტი ადმინისტრატიული წესით აღსრულებაში მოიყვანონ. იმედი გვაქვს, რომ ახალი გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თ. ივანე ბაგრატიონ-მუხრანბატონი იკისრებს და ამ დიდად და დიდად სასარგებლო საქმეს შეუდგება.

ნადიკვრელი.

ფლაოზე ძროხა და ხარი, ღორი, ცხენი და ცხვარი დათარეშობენ. სასაფლაოებს ვარდისა და იასამანის მაგივრად ნეხვი აყრია. უნდა გავტყდეთ, რომ ასეთი სურათის შეხედვა მხოლოდ ჩვენებურის თვალს არ ეწყინება, სხვა ხალხი-კი არასოდეს არ მოითმენს სასაფლაოს ასეთს სიბინძურეს. ახლა რა არის ამის მიზეზი? ის, რომ აქაურ მცხოვრებელ გლეხთ არა სჯერათ, თურმე, რომ სასაფლაოს გამოცვლა და სხვაგან გადატანა შესაძლებელია: ისინი ჰფიქრობენ, თუ საქაოს ნათესაობა სასაფლაოს დაშორდა, საიქიოსაც დაშორებულნი იქმნებიანო. (??) ბევრი დარიგების სიტყვები დაუხარჯავს ადგილობრივს მ-ელს, მაგრამ სოფელს მაინც არ შესმენია. მერმე მთავრობისათვის უცნობებიათ, მაგრამ, თურმე, დღესაც ასეთი საჭირო საქმე დაუბოლოვებელია. ახლა დღე-დღეზე ხოლერას მოველით... სოფელი რკინის-გზის ახლოა... წელს ამ სოფელში ყვავილი ყოფილა და სოფელი გაუნადგურებია... ახლად მიცვალებულნი ერთის ან ერთ-ნახევარი ალაბის სიმაღლეზე ყოფილან დამარხულნი.. სიდამპლის სუნი ამოდის და მთელი სოფლის ჰაერსა სწამლავს და ვ მიანობის დროს სასაფლაოს ნაწრეტი წყალი გლეხთა მიწის სახლებში შედის. აი, ამ გარემოებას ვაცნობებთ მთავრობას და განსაკუთრებით სანიტარულს კომისიის. ამ საქმის სასურველად დაბოლოვება ძლიერ ადვილია, რადგანაც აქაური თავადი ბ. ი. ამილახვარი უფასოდ უთმობს სოფელს სასაფლაო მიწას, სადაც სოფელი ამოირჩევს.

ვინმე.

რუსეთი

პეტერბურგის მცხოვრებნი მრავალნი გადიან ზაფხულობით პეტერბურგის გვერდით მდებარე ფინლიანდიაში, სადაც მშვენიერი ჰაერია და არა ნაკლებ მშვენიერი ბუნება. ერთ-ერთს ამ საზაფხულო ადგილთაგანში ადგილობრივის აფთიექის პატრონს წამალი არ გაუცია რუსის ექიმისაგან ხელ-მოწერილი რეცეპტით, რადგან ეს ჩვენს კანონებს ეწინააღმდეგებაო. ამ ამბის გამო დიდი ალიაქოთი შეუდგათ პეტერბურგის გაზეთებს და დიდადაც ჯავრობენ ფინლიანდიელებზედ, რომელთაც ასეთი «თავხედობა» გამოუჩენიათ.

—

რადგან ერთმანეთში დამოკიდებულობის დროს მცხოვრებლებს ხშირად სჭირდებათ პირობების წერა, ეს პირობები, ბევრად მომეტებული ნაწილი, უბრალო ქაღალდზედ იწერება. მართალია, თუ სასამართლომდის მივიდა საქმე, უბრალო ქაღალდის ხმარებისათვის ღერბის ქაღალდის მაგივრად საკმაოდ დიდი ჯარიმაა დანიშნული, მაგრამ ცნობილია, რომ ძალიან ცოტა საქმე მიდის სასამართლომდის და ამიტომ არავინ არ ერიდება უბრალო ქაღალდზედ პირობების წერას. ეხლა ფინანსთა მინისტრისა და იუსტიციის მინისტრის შორის მოლაპარაკებაა, თურმე, ხსენებული ჯარიმა გაადიდონ და ამით მაინც შეუვსონ ხაზინას უბრალო ქაღალდებზედ პირობების წერით მოკლებული შემოსავალი.

—

ამ ჟამად მრავალნი რუსის სტუდენტები ძალად იგზავნებიან გერმანიიდამ სამშობლოში; მათ შორის თითქმის ყველასა აქვს თურმე დაწესებული დოკუმენტები და მათი გამოდევნა გერმანიიდამ პოლიტიკური მიზეზებით თუ აიხსნება. ზოგიერთი გერმანიის კლერიკალური გაზეთები, წინააღმდეგნი მთავრობისა, სტუქსავენ ამ გვარს გადაწყვეტილებას.

—

პეტერბურგის უნივერსიტეტს წელს თურმე ოთხი პროფესორი ანებებს თავსა. მათ შორის ორი: მენდელეიევი და ბუტლეროვი უნივერსიტეტის დიდებას შეადგენდენ.

—

მომავალი ზამთრისათვის ვილაც ბრუზდევის ქალი პეტერბურგში, თურმე, დრამატიულ დასს ადგენს მხოლოდ ქალებისაგან. ამ დასში კაცების როლსაც ქალები აასრულებენ. აქამდის ქალებს ვერ ათანხმებდენ სცენაზედ ეთამაშნათ და კაცებს გადაეცმევდენ ხოლმე იუპკა-კაბას და ეხლა საქმე, როგორც ეტყობა, უკულმა დატრიალებულა.

—

წრევანდელის «მაკარიის» იარმუკისათვის ძალიან უვნია წყლის პატარაობას. მდინარე ოკაზედ, რომლითაც მრავალი საქონელი მოაქვთ «მაკარიაში», თურმე, რამდენიმე მილიონის საქონელი გარიყულა და ჰხდება, პატრონები განწირულებას მისცემიან: ცალკე საქონელი უფუჭდებათ და ცალკე იმას სჩივიან, რომ წრეულს გაყიდვას ვერ მოასწრობენ.

უცხოეთი

გაზეთი «ნოვოსტი» მოწინავე წერილს უძღვნის ინგლისის ეხლანდელი სამინისტროს «ცბიერებას» და გულ მოსული ამბობს: «რა აზრი აქვთ ინგლისის მმართველებს, რომ რაღაც ზულფიგარის გამო დაუსრულებელი დავა გამართეს? ინგლისის კონსერვატორები სიტყვით მშვიდობიანებას ჰქადაგებენ და საომრად კი ემზადებიან. განა ინგლისმა და რუსეთმა ერთმანეთ შორის პირობა არ შეჰკრეს ავღანისტანის თვით-მმართველობას და დამოუკიდებლობას არ შეეხონ? მაგრამ ინგლისელები ამ ქვეყანაში ისე იქცევიან, როგორც შინ. ყანდაჰარში თავიანთ ჯარს ბანაკებს უმზადებენ; პოლკოვნიკი სტიუარტი ორი ინგლისელი ინჟინერითურთ ავღანის ჯარსა სწვრთნიან და ჰერათს ამაგრებენ; იქვე წავიდენ კაპიტნები პიკოკი და უეტი, სწორედ ის უეტი, რომელმაც ქუშკაზედ შეტაკება გამოიწვია და ლემსდენს მოგონილი ამბები წარუდგინა. მეორე ინგლისის კაპიტანი, დიურანი ავღანის მოწინავე პოსტებს ათვალიერებს და მთელს ავღანის სამზღვარზედ ჯარებს თავ-თავიანთ ალაგზედ აყენებს; სხვა ფაქტებს თუნდ თავი დავანებოთ, მაგალითად, ავღანის ჯარის შეიარაღებას ინგლისის იარაღით და დიდ-ძალის ჯარის მოგროვებას ავღანისა და ინდოეთის სამზღვარზედ.

«ეს მომზადება ახალს მუქარასა ჰგავს და ლონდონში დროა, იგრძნონ, რომ შეიძლება მოთმინებიდამ გამოვიდეთ და საქმე სახიფათოდ შეიქმნეს, თუმცა ეს პატივცემულს მარკიზ სალისბიურის თითქო არა სწადიან ».

—

პარიჟში და მთელ საფრანგეთში დიდი მზადებაა მომავალ არჩევნებისათვის. ჯერ არავინ იცის, რომელი რესპუბლიკური პარტია გაიმარჯვებს, მაგრამ ეს კი ცხადია, თურმე, რომ მონარქიელებს ბედი არ გაუღიმებს, რადგან მათ მოთავეთა შორის ერთი იმისთანა ენერგიული კაცი არ არის, რომელმაც შეიძლოს და საშიში რამ საქმე იკისროს. ამ ამორჩევნებს მით უფრო მეტი მნიშვნელობა აქვთ, რომ მერმის გრევის პრეზიდენტობას ვადა გასდის და მომავალ პარლამენტზე იქმნება დამოკიდებული, თუ ვის ჩააბარებენ კონსტიტუციისამებრ შვიდის წლით საფრანგეთის მოთავეობას.

ტელეგრამები

„ჩრდილოეთის სააგენტოსი“

ივლისის 24-ს.

ვილმანსტრანდი. მათნი იმპერატორებითი დიდებულებანი და უმაღლესობანი დღეს აქ მობძანდენ. მშვენიერი ამინდია.

ლონდონი. თეირანიდამ იტყობინებიან, რომ ავღანის გარნიზონს ზულფაგართან ჯარი მოჰმატებია. რადგან ხმა ისმოდა, რომ ავღანელები პენჯდესთან გროვდებიანო, იქ რუსის ჯარებიც გაიგზავნენ. ლორდთა პალატაში სალისბიურიმა სთქვა: მერუჩაკი ავღანისტანს დარჩება და პენჯდე რუსეთს, როგორც ეს დააწყვეს რუსისა და ინგლისის უწინდელმა მთავრობამ. ზულფიგარის შესახებ უნდა მტკიცედ წარმოვსთქვათ, რომ იმას ავღანს დავპირდით, რუსეთს კი არ უნდა ეს აზრი მიიღოს. რუსის მთავრობა ალბად ამ სადაო საგანზედ ცნობებს აგროვებს და ამიტომ მასზედ მიწერ-მოწერას ჯერ ვერ წარმოგიდგენთ. პიშინის ხეობა ჩვენ დავიპყარით, როგორც ინგლისის სამფლობელო და არა ავღანისტანისა.

ივლისის 25-ს.

ვილმანსტრანდი. ივლისის 24-ს, დიდით უმაღლეს პირთა დანასწრებით ფინლიანდიაში მდგარს ჯარს პარადი გაუკეთეს. ხელმწიფე იმპერატორმა რამდენჯერმე მადლობა უბძანა ჯარს. ფინლიანდიის ქალებმა ხელმწიფე იმპერატრიცას საჩუქრად მშვენივრად მორთული შლიაპკა მიართვეს.

პარიჟი. რადგან რუმინიისა და საფრანგეთის შორის უთანხმოება ჩამოვარდა ტამოჟნის ბაჟის შესახებ, საფრანგეთის სენატმა მიიღო კანონი, რომლის ძალითაც რუმინიიდამ შეტანილს ნაწარმოებზედ დამატებითი ბაჟი დაედება. გარეშე საქმეთა მინისტრმა ფრეისინემ გამოაცხადა, რომ ამ კანონ-პროექტის მიღების შემდეგ რუმინიასთან მოლაპარაკება განახლდება და იმედია კარგად გათავდება.

ლონდონი. დრუმონდ ვოლფი ამ დღეებში სტამბოლში მიდის.

განცხადებანი

ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის ინსპექტორი აცხადებს

მინაიდგან 1885 წ. ენკენისთვიდგან ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის ყველა პარალელური განყოფილებანი იქმნებიან სამეგრელოში, ძველს სენაკში, ამიტომ მოსწავლენი მესამე და მეოთხე განყოფილებათა, რომელნიც სამეგრელოდგან არიან, პირველს ენკენისთვეს უნდა გამოცხადდენ სასწავლებელში ძველს სენაკში, რადგან ისინი ძველის სენაკის სათავად-აზნაურო სასწავლებელში არიან გადაყვანილნი. ვისაც ხელ-ახალი ეგზამენი ექმნება, ის უნდა გამოცხადდეს უფრო ადრე 25 აგვისტოდგან პირველს ენკენისთვემდის.

აი სია იმ მოსწავლეთა, რომელნიც გადმოყვანილნი არიან ძველს სენაკში:

1) ბაბუნია ირაკლი
2) ბაბუნია სევერიანე
3) დგებუაძე ძალლისტრატე
4) იოსელიანი იასონი
5) იოსელიანი მელიტონი
6) ქიზირია არსენი
7) ქორძაია ვლადიმერი
8) ლოლუა სპირიდონი
9) ლოლუა ესტატე
10) ლოლუა ივანე
11) მელია დავითი
12 ნანეიშვილი ბიქტორი
13) რევია დავითი
14) ჩიქვანი ერმალოზი
15) ჩიქვანი გიორგი
16) ალშიბაია გიორგი
17) ბაბუნია სილოვანი
18) ბაბუნია ნესტორი
19) ბაბუნია დიომიდე
20) ქორძაია იასონი
21) ნაჭყეპია ვლადიმერი
22) ჩიქვანი ნესტორი
23) ქავთარიძე ისააკი.

(3—3)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბალანსი

თბილისის სათავად-აზნაურო ბანკისა, ივლისის პირველისათვის 1885 წლისა.

აქტივი.

	მან.	კ.	მან.	კ.
1) ნაღდი ფული კასაში	26,984	66		
გირაოს ფურცლები	97,600	—	124,584	66
2) მიმოქმედინარე სნგარიშებზე:				
ა) სახელმწიფო ბანკის თბილისის განყოფილებაში	240,000	—		
ბ) კერძო ბანკებში	1,378	66		
გ) კორესპონდენტებთან. . . .	90,323	62	331,702	28
3) მიბარებულობა:				
ა) საწევრო ფული თბილისის ურთიერთ შორის ნდობის საზოგადოებაში. . .	—	—	60	57
4) ბანკის სარგებლიანი ქაღალდები:				
ა) სახელმწიფო და გარანტიის ქაღალდები შენახულნი სახელმწიფო ბანკის თბილისის განყოფილებაში (80,000) . . .	72,049	55		
ბ) სხვა სარგებლიანი ქაღალდები (51,200) % იმათი.	48,692	10	120,741	65
	—	—		
5) დიდ-ვადიანნი სესხნი, რომელნიც გამოტემულნი არიან ბანკის 28 მაისის 1874 წ. წესდების ძალით:				
ა) მამულის გირაოზე $54^1/_2$ წლით. .	435,000	—		
ბ) მამულის გირაოზე $43^1/_2$ წლით. .	359,900	—		
გ) ქალაქის უძრავს ქონებაზე გირაოდ $27^1/_2$ წ.	464,300	—		
დ) ქალაქის უძრავს ქონებაზე გირაოდ 18 წლით და 7 თვით	5,800	—	1,265,000	—
6) დიდ-ვადიანნი სესხნი, რომელნიც გაცემულნი არიან ბანკის 17 თებერვალის 1881 წ. წესდების ძალით გირაოდ მიღებულს მამულზედ ურთიერთ შორის თავდებობის ქვეშ:				
ა) მამულის გირაოზე $43^1/_2$ წლით .	1,216,164	90		
ბ) ქალაქის უძრავ ქონებაზე $27^1/_2$ წლით .	2,596,914	90	3,813,079	80
7) გასაცემად დანიშნულნი სესხნი:				
ა) მამულის გირაოზე $43^1/_2$ წლით . .	20,000	—		
ბ) ქალაქის უძრავ ქონებაზე $27^1/_2$ წლით .	31,000	—	51,000	—
8) გადასასადი, რომელსაც ჭონდა შეღავათი (§ 13).				
ა) დიდ-ვადიან სესხზე	189,352	07		
ბ) მცირე-ვადიან სესხზე. . . .	1,694	95	191,047	02
9) ვადა-გასული შემოსატანი თული. . .	—	—	14,972	44
10) მცირე ვადიანნი სესხნი. . . .	—	—	126,965	—
11) გირაოს ფურცლები, საკომისიოდ მიღებულნი (9,800)	—	—	7,840	—
12) დასაბრუნებელი სარჯი . . : .	—	—	66,249	02
13) კუპონები, ვადის გასვლამდის გადასადილი.	—	—		
14) სარჯი:				
ა) ბანკის მოწყობისათვის . . .	4,134	12		
ბ) ბანკის გამგეობის შენახვა . . .	17,125	03	21,259	15
ბალანსი.			6,134,501	59

პასსივი.

	მან.	კ.	მან.	კ.
1) მირის ფული:				
ა) დიდ-ვადიანის სესხისათვის. . .	181,987	30		
ბ) მცირე ვადიანის სესხისათვის. . .	134,884	85	316,872	16
2) სათადარიგო თანხა:				
ა) სესხისა, რომელიც გაცემულია 28 მაისის 1874 წ. წესდების ძალით . . .	22,378	87		
ბ) ურთი-ერთ შორის თავდებობიო გაცემულ სესხისა	23,518	01	45,896	88
3) თანხა საზოგადო საჭიროებისათვის. .				
4) თანხა, რომელიც ზედამხედველ კომიტეტის განკარგულებაშია.	—	—	60	—
5) საუოველ-შემთხვევო თანხა . . .	—	—	10,343	31
6) გირაოს ფურცლები დასახურდავებლად გამოტემულნი 28 მაისის 1874 წლის წესდების ძალით:				
$54^1/_2$ წლით.	435,000	—		
$43^1/_2$ „	359,900	—		
$27^1/_2$ „	464,300	—		
18 წ. და 7 თვით. . . .	500	—	1,265,000	—
7) გირაოს ფურცლები, რომელნიც გამოტემულნი არიან ურთი-ერთ შორის თავდებობით გირაოდ მიღებულ უძრავ ქონებათა:				
$43^1/_2$ წლით.	1,206,700	—		
$27^1/_2$ „	2,587,400	—	3,794,100	—
8) გირაოს ფურცლები ტირაჟში გამოსულნი იმ ჯამისა, რა ჯამიც წესდების 89 § ძალით გადადებული იყო არა-ვადებულის თავნის გადახდისათვის	—	—	18,979	80
9) გამოსაცემად დანიშნული გირაოს ფურცლები:				
$43^1/_2$ წლით.	20,000	—		
$27^1/_2$ „	31,000	—	51,000	—
10) მობარებული გირაოს ფურცლები . .	—	—	26,000	—
11) მოსასპობლად დანიშნული სესხნი:				
ა) გირაოს ფურცლებით. . . .	34,800	—		
ბ) ნაღდის ფულით.	433	08	35,233	08
12) ტირაჟში გამოსულნი გირაოს ფურცლები ჯერ წარმოუდგენელნი გადასახდელად. .	—	—	75,000	—
13) გირაოს ფურცლების გადასახდელი კუპონები	—	—	154,288	08
14) სარგებლის ფონდი	—	—	152,773	74
15) თავნის გასასტუმრებელი ფონდი:				
$54^1/_2$ წლით.	919	69		
$43^1/_2$ „	1,292	15		
$27^1/_2$ „	6,799	73		
18 წ. და 7 თვით . . .	344	26	9,355	83
16) თავნის გასასტუმრებელი ფონდი ურთიერთ შორის თავდებობით:				
$43^1/_2$ წლით.	3,671	62		
$27^1/_2$ „	25,289	20	28,960	32
17) თავნის გასასტუმრებელი ფონდი არა-სავალდებულო გადასახდელად იმ გირაოს ფურცლებისა, რომელნიც ურთიერ შორის თავდებობის პირობით არიან გამოტემულნი. .	—	—	185	74
18) გარდამავალნი ჯამნი:				
ა) ნაღდის ფულით	29,656	87		
ბ) გირაოს ფურცლებით. . . .	36,800	—	66,456	87
19) კორესპონდენტები	—	—	500	—
20) მსესხებელნი	—	—	9,635	83
21) დაფასებისათვის დანიშნული ფონდი. .	45,313	36		
22) მცირე ვადიანი სესხის სარგებელი . .	2,444	30		
23) ჯარიმა	8,971	82		
24) სხვა-და-სხვა პროცენტები . . .	17,129	26	73,858	74
ბალანსი.			6,134,501	59

თავსმჯდომარე ბანკის მმართველობისა თ. ი. გ. ჯაგჯავაძე.

მმართველობის წევრნი { თ. ს. ზ. ჩოლაყაშვილი. / თ. ი. გ. მაჩაბელი.

ბუხჰალტერი ქ. ხაჩატურიანი.

Дозв. ценз. Тифлисъ, 25 Іюля 1885 г. მელიქიშვილის სტამბა. გამომცემელი ზ. ძართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.